თბილისი

თბილისის ლენინის რაიონის სახალხო თეატრმა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მაყურებელს უჩვენა პოეტ-დრამატურგ ა. გეწაძის ახალი პიესა „მზე ცრემლში". სპექტაკლში მონაწილეობდნენ სახალხო თეატრის წევრები ორთქლმავალ-შემკეთებელი, ელმავალ-მშენებელი და შამპანური ღვინის ქარხნების მუშა-მოსამსახურეები. სპექტაკლში დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ა. ლავიჩმა, მ. ობოლაძემ, ნ. ნასყიდაშვილმა, ბ. ხარაბაძემ, თ. რუსეიშვილმა, ლ. მჭედლიშვილმა და სხვ.

წარმოდგენის მსელელობისას დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში. ეს სახალხო თეატრის მუშაობის ყველაზე დიდი შეფასება იყო.

— : —

ამ დღეებში თბილისის კავშირგაბმულობის კულტურის სახლის რუსულმა თეატრალურმა კოლექტივმა დადგა ცნობილი ინგლისელი რეჟისორ-დრამატურგის ნოელ კაუპერდის პიესა „გაშიშვლებული ეიოლინოთი".

პიესა მიმართულია სახვით ხელოვნებაში აბსტრაქციონიზმის წინააღმდეგ. საქართველოს პროფკავშირთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე სპექტაკლმა მესამე ხარისხის დიპლომი მიიღო.

სპექტაკლში როლები შეასრულეს: ინჟინერ-მშენებელმა ბ. ვასილევსკიმ, 33-ე სკოლის საწარმოო ნაწილის გამგემ ე. მარკოზოვმა, ფაბრიკა „კოვკავშირელის" სამეურნეო ნაწილის გამგემ შ. ტუსიშვილმა, პენსიონერმა ს. დინილოვმა და სხვ.

რუსთავი

ქ. რუსთავის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ო. ღვიბერიას პიესა „განახლებულ მიწაზე". პიესა ასახავს ქ. რუსთავის მშრომელების ცხოვრებას.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. ომაიაძემ, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ჩირინაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ასკურავამ.

რუსთაველმა მეტალურგებმა სპექტაკლი გულთბილად მიიღეს.

მაიაკოვსკი

მაიაკოვსკის სახალხო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ლ. სანიკიძის პიესა „მედეა". სპექტაკლი დადგა სახალხო თეატრის დირექტორმა ა. ქართველიშვილმა, მხატვრულად გააფორმა მაიაკოვსკის საშუალო სკოლის ლიტერატურის მასწავლებელმა შ. ადამიამ.

ჭიათურა

ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. ყანდელაკის „ამაღლებული სოფელი".

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ეაშაძემ. მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბჟანდაძემ.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ გ. ტყაბლაძე, ვ. სავანელი, მ. კუსიანი და სხვ.